

შპს „vivacement“-ი

ცემენტის საწარმოს
ექსპლუატაციის პირობების
ცვლილება

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს „ჯითიეს
კონსულტიმი“

2023

შესავალი

1	შესავალი	3
2	საწარმოს განთავსების ტერიტორიის აღწერა	4
3	შპს „vivacement“-ის საქმიანობის აღწერა	8
4	საწარმოში განხორციელებული ცვლილებები	10
4.1	მისასვლელი და საექსპლუატაციო გზები	14
4.2	წყალმომარაგება და წყალარინება	14
4.3	მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენები.....	14
5	გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა.....	14
5.1	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე	14
5.2	ხმაურის გავრცელება.....	17
5.3	ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება.....	19
5.4	ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	19
5.5	ზემოქმედება წყლის გარემოზე	19
5.6	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე.....	19
5.7	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე.....	20
5.8	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე.....	20
5.9	კუმულაციური ზემოქმედება.....	20
6	დანართი 1 - საჯარო რეესტრის ამონაწერი	21
7	დანართი 2 - უწყვეტი მონიტორინგის სისტემა	26

1 შესავალი

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში ეხება შპს „vivacement“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

შპს „vivacement“-ის საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, წერეთლის ქუჩა №41ა-ში. საწარმოს საქმიანობაზე, 2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „რუსთავი V.G.“-ს ცემენტის წარმოებაზე გაიცა №38 (18.06.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წელს კომპანიების ერთობლივი მიმართვის საფუძველზე შპს „რუსთავი V. G“-ზე გაცემული ნებართვა გადაეცა შპს „vivacement“-ს. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბერს, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლისა და აღნიშნული დოკუმენტების გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1268 ბრძანებით გაცემული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, საწარმოში წარმოებული ცემენტის შენახვის მიზნით განთავსდა დამატებითი სილოსები, გარდა ამისა, საწარმოში განთავსებულ წისქვილზე განახლდა აირმტვერდამჭერი ფილტრები და კანონის მოთხოვნის შესაბამისად მოეწყო უწყვეტი მონიტორინგის სისტემა, საწარმოში ასევე განთავსდა სარეზერვო წისქვილი, რომელიც საწარმოში არსებული წისქვილის ანალოგიურია. სარეზერვო წისქვილი იმუშავებს ძირითადი წისქვილის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

საწარმოში განხორციელებული ცვლილებები საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის 12 ნაწილის შესაბამისად, (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა), ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად განიხილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში განხორციელებული ცვლილებები დაექვემდებარა სკრინინგის პროცედურას და მომზადდა სკრინინგის ანგარიში.

საქმიანობის განმხორციელებელის და კონსულტანტის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	შპს „vivacement“-ი
კომპანიის მისამართი	ქ. რუსთავი, წერეთლის ქუჩა №41ა
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. რუსთავი, წერეთლის ქუჩა №41ა
საქმიანობის სახე	ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება
საიდენტიფიკაციო კოდი	416306045
საკონტაქტო პირი	გოგა ვარამაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	598 78-00-77
საკონსულტაციო კომპანია	შპს „ჯითიეს ქონსულთიმი“
საკონტაქტო პირის სახელი და გვარი	გურამ ყაფლანიშვილი
ტელეფონი	574 99 98 98

2 საწარმოს განთავსების ტერიტორიის აღწერა

შპს „vivacement“-ის საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, წერეთლის ქუჩა №41ა-ში (ნაკვეთების საკადასტრო კოდებია: №02.05.07.737 და №02.05.07.716 - იხ. დანართი 1).

საწარმოში განთავსებულია 3 ტ/სთ წარმადობის ბურთულეებიანი წისქვილი, რომელიც აღჭურვილია სახელოებიანი ფილტრებით. აღნიშნულ წისქვილში წარმოებს კლინკერის და შესაბამისი დანამატების დაფქვა და ცემენტის წარმოება.

საწარმოში განთავსებული ტექნოლოგიური მოწყობილობების ფოტო მასალა მოცემულია 2.1. სურათზე, ხოლო საწარმოს განთავსების სიტუაციური რუკა იხილეთ 2.1. ნახაზზე.

სურათი 2.1. საწარმოში განთავსებული ტექნოლოგიური მოწყობილობების ფოტო მასალა




ნედლეულის საცავი



ნედლეულის მიმღები (მკვებავი) ბუნკერი და ლენტური ტრანსპორტიორი



ცემენტის წისქვილი და
მტვერდამჭერი ფილტრები



ნახაზი 2.1. საწარმოს განთავსების სიტუაციური რუკა



საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში. საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დასავლეთით. საწარმოს ნაკვეთის საზღვრიდან, იმ ნაკვეთის საზღვრამდე, რომელზეც განთავსებულია უახლოესი საცხოვრებელი სახლი, საკადასტრო საზღვრებს შორის მანძილი შეადგენს 12 მეტრს, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან, აღნიშნულ სახლამდე მანძილი დაახლოებით 32 მეტრია, ხოლო მანძილი ცემენტის წისქვილსა და აღნიშნულ სახლს შორის შეადგენს 80 მეტრს.

საწარმოს ტერიტორიის დასავლეთით, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 85 მეტრში გაედინება შპს „მტკვარი ენერჯის“ მიწისზედა მაგისტრალური არხი. საწარმოს ირგვლივ არსებული ობიექტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2.1. ნახაზზე.

საწარმოს ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია საოფისე და დამხმარე შენობა-ნაგებობები. დამხმარე შენობები გამოყენებულია როგორც სასაწყობე მეურნეობა და სახელოსნო.

3 შპს „vivacement“-ის საქმიანობის აღწერა

შპს „vivacement“-ის საწარმოს ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს კლინკერისა და დანამატების დაფქვით სხვადასხვა მარკის ცემენტის წარმოებას. საწარმოს გააჩნია ბურთულეებიანი წისქვილი, რომლის მაქსიმალური წარმადობაა 3.0 ტ/სთ-ში. ბარაბანის სამუშაო მოცულობა ტოლია 8 მ³-ის, დიამეტრი - 1.512 მ, სიგრძე 5.605 მ, ბარაბანის ბრუნვის სიხშირე ტოლია 29 ბრუნი წუთში.

ცემენტის მაქსიმალური წლიური წარმოება 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, წელიწადში 300 სამუშაო დღით და 3 ტ/სთ წარმადობის გათვალისწინებით, შეადგენს 7200 ტონა ცემენტს წელიწადში. საწარმო, 7200 ტონა ცემენტის წარმოებისათვის გამოიყენებს 5760 ტონა კლინკერს, 360 ტონა თაბაშირს და 1100 ტონა დანამატებს.

კლინკერი არის ცემენტის წარმოების ნახევარფაბრიკატი პროდუქტი, რომელიც მიიღება სათანადო რაოდენობის კარბონატ და თიხამიწა შემცველი ერთი, ან რამდენიმე ნედლეულის ნარევის გამოწვით შეცხოვრებულ არაუმეტეს 1450°C-ზე. კლინკერის მინერალოგიური შემადგენლობა განსაზღვრავს მის ძირითად თვისებებს – აქტიურობას, რომელიც პრაქტიკულად 450 - 600 კგ/სმ² ფარგლებშია. საწარმოში არ ხდება კლინკერის გამოწვა, საწარმოში კლინკერი შემოდის მზა სახით.


ცემენტის დაფქვის პროცესში, აუცილებელი დანამატია თაბაშირ შემცველი მასალა, რომელიც დასაფქვავ კაზში შეყავთ ისეთი რაოდენობით, რომ გოგირდმჟავას ანჰიდრიდის SO₃-ის რაოდენობა რიგით ცემენტში იყოს 1.5 - 3.5 %-ის ზღვრებში.

საწარმოს წარმადობა და ტექნოლოგიური სქემა არ შეცვლილია და 2010 წლის გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის იდენტურია, კერძოდ, კლინკერის საწყობში ავტომატვრითაა ხდება კაზმის არევა-მომზადება დადგენილი რეცეპტის შესაბამისად. არეული ნარევი გადაიტვირთება მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით გადადის ბურთულეებიან წისქვილში დაფქვისათვის. წისქვილში დაფქვის სიწმინდე 0.08 მმ-იან საცერზე 8.0 – 12 %-ია M “400” მარკის ცემენტისთვის, ხოლო M “300”

მარკის ცემენტის 10 – 14 %. დანამატების რაოდენობა შესაბამისად 5 – 15 % M “400” მარკის ცემენტისთვის და 5 – 35 % M “300” მარკის ცემენტისთვის.

ბურთულებიანი წისქვილიდან მიღებული მზა პროდუქცია ცემენტის პნევმოტრანსპორტიორის საშუალებით გადადის სილოსებში, ხოლო სილოსებიდან ცემენტი მომხმარებელს მიეწოდება ცემენტმზიდით ან ტომრებით. საწარმოს ტექნოლოგიური სქემა მოცემულია 3.1. ნახაზზე.

ნახაზი 3.1. საწარმოს ტექნოლოგიური სქემა



საწარმოში, ნედლეული შემოდის ავტომობილებით და საწყობდება ნედლეულის საცავში, რომელიც წარმოადგენს სამი მხრიდან ბეტონის კედლით შემოსაზღვრულ, გადახურულ ფარდულის ტიპის ნაგებობას. ნედლეულის საწყობს ესაზღვრება მიმღები ბუნკერი, რომელიც წარმოადგენს ლითონის კონუსურ კონსტრუქციას და დამონტაჟებულია ბეტონის კედლებზე. მიმღები ბუნკერის კონუსის წვერთან მოწყობილია ლენტური ტრანსპორტიორი. მიმღები ბუნკერი და ლენტური ტრანსპორტიორი, ასევე საწარმოში განთავსებული წისქვილი, გადახურულია ფარდულის ტიპის კონსტრუქციით (იხ.სურათი 2.1.).

მიმღებ ბუნკერში წარმოებს კაზმის მომზადება, რომელიც ლენტური კონვეიერის საშუალებით მიეწოდება ბურთულებიან საფეკავს, ხოლო საფეკავში მიღებული პროდუქტი ინახება შესაბამის სილოსებში.


4 საწარმოში განხორციელებული ცვლილებები

როგორც უკვე აღინიშნა, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ:


- საწარმოში წარმოებული ცემენტის შენახვის მიზნით განთავსდა დამატებითი სილოსები;
- საწარმოში განთავსებულ წისქვილზე განახლდა აირმტვერდამჭერი ფილტრები და კანონის მოთხოვნის შესაბამისად მოეწყო უწყვეტი მონიტორინგის სისტემა;
- საწარმოში ასევე განთავსდა სარეზერვო წისქვილი, რომელიც საწარმოში არსებული წისქვილის ანალოგიურია. სარეზერვო წისქვილი იმუშავებს ძირითადი წისქვილის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

საწარმოში ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული ტექნოლოგიური დანადგარების და დამხმარე შენობების განთავსების გეგმა მოცემულია 4.1. ნახაზზე.

2010 წლის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პროდუქციის (ცემენტი) შენახვის მიზნით, საწარმოში გათვალისწინებული იყო სამი ერთეული სილოსის განთავსება, რომელიც მოეწყო ბურთულეებიან წისქვილის მიმდებარედ. დღეის მდგომარეობით, საწარმოში დამატებით განთავსდა კიდევ 7 სილოსი, კერძოდ ძირითად ბურთულეებიან წისქვილთან განთავსებულია 7 ერთეული სილოსი, აქედან 3 არსებული და 4 ახალი (4.1. ნახაზზე იხ. პოზ. 3 და 4.1 სურათი), ხოლო საწარმოს შესასვლელში განთავსდა კიდევ 3 ერთეული სილოსი ((4.1. ნახაზზე იხ. პოზ. 4 და 4.2 სურათი),



ნახაზი 4.1. საწარმოში ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული ტექნოლოგიური დანადგარების და დამხმარე შენობების განთავსების გეგმა



2010 წლის გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული სილოსების მოცულობა შეადგენს თითოეულის 65 ტონას, ხოლო ჯამურად 195 ტონას. აღნიშნულ სილოსებში შესაძლებელი იყო 8 დღის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის შენახვა. არსებული სილოსების შევსების შემდეგ, პროდუქციის გაყიდვამდე საწარმო ფიზიკურად ვეღარ მუშაობდა, ვინაიდან საწარმოში არ იყო პროდუქციის მარაგის შექმნის შესაძლებლობა, ანუ არ იყო იმ მოცულობის სილოსები, სადაც შესაძლებელი იყო ერთი თვის ან 2-3 თვის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის შენახვა (საწარმოში პროდუქციის მარაგის შექმნა), ამასთან საბაზრო მოთხოვნა, ერთჯერადად შეძენილი ცემენტის რაოდენობის მიმართ გაიზარდა, მაგალითად ერთი კომპანია თუ საჭიროებდა 500 ტონა ცემენტს, შპს „vivacement“-ი, ვერ უზრუნველყოფდა ამ რაოდენობის ცემენტის ერთდროულად მიწოდებას, შესაბამისად ვერ უძლებდა ბაზარზე არსებულ კონკურენციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს წინაშე დადგა ამოცანა, საწარმოში მიღებული პროდუქციის შესანახად მოეწყო უფრო დიდი მოცულობის საცავები, სადაც შეძლებდა მიღებული პროდუქციის მარაგის შექმნას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საწარმოში წარმოებს 2 მარკის ცემენტი და მათი განთავსება ხდება ცალ-ცალკე სილოსებში.

პროდუქციის (ცემენტი) რაოდენობაზე მოთხოვნის გათვალისწინებით, პროდუქციის შენახვის მიზნით, საწარმოში დამატებით განთავსდა 7 სილოსი, რომლებიც არ იყო განხილული 2010 წლის გზშ-ის ანგარიშში.

აქვე ხაზგასმით უნა აღინიშნოს, რომ სილოსების განთავსება არ არის დაკავშირებული საწარმოს წარმადობის გაზრდასთან, საწარმოში კვლავ ფუნქციონირებს 2010 წლის გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული ბურთულეებიანი წისქვილი, რომლის წარმადობაა 3 ტ/სთ. საწარმოს სამუშაო რეჟიმზე კვლავ უცვლელი დარჩა და საწარმო მუშაობს დღეში 8 საათიანი გრაფიკით, წელიწადში 300 დღე. სამუშაო საატების რაოდენობისა და წისქვილის წარმადობის გათვალისწინებით, საწარმოსმაქსიმალური წარმადობაა 7200 ტ/წელ, რაც გათვალისწინებული იყო 2010 წლის გზშ-ის ანგარიშით.

დღეისათვის საწარმოში განთავსებული სილოსების მოცულობები შემდეგნაირად არის განაწილებული:

1. 3 ერთეული 65 ტ მოცულობის სილოსი, რომელიც გათვალისწინებული იყო 2010 წლის გზშ-ის ანგარიშით და რომელიც განთავსებულია ბურთულეებიანი წისქვილის მიმდებარედ;
2. 2 ერთეული 30 ტ მოცულობის სილოსი, რომელიც განთავსდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში და მდებარეობს არსებული სილოსების გვერდით;
3. 2 ერთეული 120 ტ მოცულობის სილოსი, რომელიც განთავსდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში და მდებარეობს არსებული სილოსების მიმდებარედ;
4. 3 ერთეული 62 ტ მოცულობის სილოსი, რომელიც განთავსდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში და მდებარეობს საწარმოს შესასვლელთან.

საწარმოში განთავსებული სილოსების (პროდუქციის საცავი) ჯამური მოცულობა შეადგენს 690 ტონას. საწარმოში სილოსების განთავსების შემდეგ, საწარმოს აქვს შესაძლებლობა დააგროვოს და შეინახოს 2-3 თვის განმავლობაში წარმოებული პროდუქცია.

საწარმოში განთავსებული ყველა სილოსი აღჭურვილია თანამედროვე ტიპის, MCFILTER-ის ფირმის მტვერდამჭერი ფილტრებით (ფილტრების ფოტომასალა იხ. 4.3 სურათზე)

სურათი 4.3. სილოსების ფილტრები



როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოში ასევე განთავსდა სარეზერვო წისქვილი, რომელიც არსებული წისქვილის ანალოგიურია და რომლის წარმადობაა 3 ტ/სთ. სარეზერვო წისქვილი იმუშავებს არსებული წისქვილის მწყობრიდან გამოსვლის ან გეგმიური რემონტის შემთხვევაში, ორივე წიქვილის ერთდროულად მუშაობა არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად, ახალი წისქვილის გათვასება არ გამოიწვევს საწარმოს წარმადობის გაზრდას. აღსანიშნავია, რომ ახალი წისქვილი დღემდე არ ყოფილა ექსპლუატაციაში.

რაც შეეხება აირ-მტვერდამჭერ ფილტრებს, საწარმოში მოხდა აირმტვერდამჭერი მოწყობილობის განახლება-გაუმჯობესება, კერძოდ, 2010 წლის გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული აირმტვერდამჭერი სისტემა აღჭურვილი იყო 24 ცალი სახელოებიანი ფილტრით, გაუმჯობესების პირობებში, ფილტრს დაემატა კიდევ 24 ფილტრი და დღეის მდგომარეობით, წიქვილი აღწირვილია 48 ერთეული სახელოებიანი ფილტრით, გარდა ამისა,

საწარმოში განთავსებული წიქვილი აღჭურვილია უწყვეტი მონიტორინგის სისტემით. აღნიშნულის სისტემის პარამეტრები იხ. მე-2 დანართში.

4.1 მისასვლელი და საექსპლუატაციო გზები

ტერიტორიას ესაზღვრება რუთავი გარდაბანის გზა, რომელსაც საწარმო იყენებს ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის 2010 წლიდან.

4.2 წყალმომარაგება და წყალარინება

უშუალოდ ცემენტის წარმოების ეტაპზე წყლის გამოყენებას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგებას, საწარმოს წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის წყალსადენის სისტემით და სამეურნე-საყოფაცხოვრებო წყალარინება ასევე ხორციელდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელის საშუალებით.

4.3 მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენები

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოში განთავსდა დამატებითი სილოსები და სარზევო წიქვილი, ასევე მოეწყო უწყვეტი მონიტორინგის სისტემა და განახლდა აირმტვერდამჭერი ფილტრები. სილოსები და წიქვილი განთავსდა სპეციალურ სდგარებზე და მათი მოწყობის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ექსპლუატაციას, საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში არ შეიცვლება ნარჩენების რაოდენობა და სახეობა.

კომპანიას გააჩნია სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა. საწარმოში ნარჩენების მართვა წარმოებს აღნიშნული გეგმის შესაბამისად.

5 გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა

5.1 ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

როგორც 2010 წლის გზშ-ის ანგარიშშია მოცემული, საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: არაორგანული მტვერი და ცემენტის მტვერი. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების სახეობა არ შეცვლილა.

რაც შეეხება საწარმოში 2010 წლის გზშ-ის ანგარიშით აღრიცხულ ემისიის წყაროებს, 2010 წლის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში აღრიცხვა 9 გაფრქვევის წყარო, კერძოდ:

- ბურთულებიანი წისქვილი 3.0 ტ/სთ წარმადობის ((№1 წყარო, გ -1);
- ტრანსპორტირება სილოსებში (№2, №3, №4 წყარო, გ -2, გ-3, გ-4);
- პროდუქციის ცემენტშიდებში გადატვირთვისას (№5 წყარო, გ -5);
- ნედლეულის მიღება-დასაწყობება ((№500 წყარო, გ-6);

- ნედლეულის შესანახი საწყობი ((№501 წყარო, გ -7);
- ჩაყრა კაზმის ბუნკერებში ((№502 წყარო, გ -8);
- ლენტური ტრანსპორტიორი ((№503 წყარო, გ-9);

საწარმოში სილოსების და სარეზერვო წისქვილის განთავსების შემდეგ, საწარმოში გაფრქვევის წყაროების რაოდენობა გაიზარდა 8 ერთეულით, თუმცა, ემისიების რაოდენობა არ შეცვლილა. დღეისათვის საწარმოში განთავსებულია შემდეგი ემისიის წყაროები:

- ბურთულეებიანი წისქვილები (ერთი მოქმედი ერთი სარეზერვო, ერთდროულად არ მუშაობენ) 3.0 ტ/სთ წარმადობის ((№1, №2 წყარო, გ -1, გ-2);
- ტრანსპორტირება სილოსებში (№3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12 წყარო, გ-3, გ-4, გ-5, გ-6, გ-7, გ-8, გ-9, გ-10, გ-11, გ-12);
- პროდუქციის ცემენტშიდებში გადატვირთვისას (№13 წყარო, გ -13);
- ნედლეულის მიღება-დასაწყობება ((№500 წყარო, გ-14);
- ნედლეულის შესანახი საწყობი ((№501 წყარო, გ -15);
- ჩაყრა კაზმის ბუნკერებში ((№502 წყარო, გ -16);
- ლენტური ტრანსპორტიორი ((№503 წყარო, გ-17);

ბურთულეებიანი წისქვილებიდან (გ-1 და გ-2 წყაროდან) ემისიების რაოდენობა არ შეიცვლება და 2010 წლის გზშ-ის ანგარიშში მოცემული რაოდენობის იდენტური იქნება, ვინაიდან არ იცვლება წისქვილის წარმადობა და მუშაობის რეჟიმი, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს რომ ორივე წისქვილი ერთდროულად არ იმუშავებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **3.0 ტ/სთ წარმადობის ბურთულეებიანი წისქვილში (წყარო გ-1 და გ-2)** ცემენტის დაფქვისას წარმოქმნილი აირმტვერნარევის მოცულობა ყოველ 1 კილოგრამ პროდუქტზე შეადგენს 0.7 მ³/კგ. რადგან წისქვილის წარმადობა ტოლია 3 ტ/სთ, ანუ 3000 კგ/სთ, ამიტომ აირმტვერნარევის მოცულობა ტოლი იქნება:

$$0.7 \frac{\text{მ}^3}{\text{სთ}} \times 3000 \frac{\text{კგ}}{\text{სთ}} = 2100 \text{ მ}^3 / \text{სთ}$$

მტვრის კონცენტრაცია აირმტვერნარევაში შეადგენს 300 გ/მ³-ში. მაშინ გამოფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება

$$2100 \times 300 / 3600 = 175 \text{ გ/წმ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილტრების განახლების შემდეგ ფილტრების ეფექტურობა კვლავ 99,9 % დარჩა, აირმტვერნარევის გაწმენდის შემდეგ, გაფრქვეული მტვრის რაოდენობა ტოლი იქნება:

$$\frac{175 \times 0,01}{100} = 0,0175 \text{ გ/წმ}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წისქვილი წელიწადში იმუშავებს 2400 სთ-ს, აქედან გამომდინარე წელიწადში ატმოსფეროში გაფრქვეული მტვრის მასა ტოლი იქნება:

$$175 \times 2400 \times \frac{3600}{10^6} = 0,151 \text{ ტ/წელ}$$

ბურთულეიანი წისქვილების მუშაობის ეტაპზე გაფრქვეული მტვრის რაოდენობა (0,0175 გრ/წმ და 0,151 ტ/წელ) შეესაბამება 2010 წლის გზშ-ის ანგარიშში მოცემული ემისიების რაოდენობას და სარეზერვო წისქვილის გათვასების შემდეგ, არ შეცვლილა.

რაც შეეხება ცემენტის სილოსებში გადატვირთვის დროს (№3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12 წყარო, გ-3, გ-4, გ-5, გ-6, გ-7, გ-8, გ-9, გ-10, გ-11, გ-12) მოსალოდნელ ემისიებს, შესაბამისი მეთოდური მითითების მიხედვით, ცემენტის სილოსებში გადატვირთვის დროს მოსალოდნელი ემისიების გაანგარიშება წარმოებს გადასატვირთი პროდუქციის რაოდენობის გათვალისწინებით და ანგარიშში, სილოსების რაოდენობა მონაწილეობას არ იღებს, შესაბამისად, იმ პირობებში, რომ არ გაზრდილა საწარმოს წარმადობა, სილოსების რაოდენობის გაზრდა ემისიების რაოდენობის გაზრდას არ იწვევს რაც დასტურდება ქვემოთ მოცემული ანგარიშით.

გაფრქვევები წისქვილიდან ცემენტის სილოსში გადატვირთვის დროს (გ-3, გ-4, გ-5, გ-6, გ-7, გ-8, გ-9, გ-10, გ-11, გ-12) ცემენტის ტრანსპორტირებისას წარმოქმნილი აირმტვერნარევის მოცულობა ყოველ 1 კილოგრამ პროდუქტზე შეადგენს 0.5 მ³/კგ. რადგან წისქვილების მუშაობის რეჟიმი ისეთია, რომ საათში ხდება მხოლოდ 3 ტ ცემენტის წარმოება, ამიტომ აირმტვერნარევის მოცულობა ტოლი იქნება 1500 მ³/სთ. მტვრის კონცენტრაცია აირმტვერნარევი შეადგენს 80 გ/მ³-ში. მაშინ გამოფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$\frac{1500 \times 80}{3600} = 33,33 \text{ გ/წმ}$$

საწარმოში არსებულ ათივე სილოს ცალ-ცალკე გააჩნია გამწმენდი ფილტრები, რომლთა ეფექტურობა ტოლია 99.9 %-ის. თუ გავითვალისწინებთ, რომ პროდუქციის სილოსებში გადატვირთვის დროს აირმტვერნარევი გაივლის აღნიშნულ ფილტრებს, გაფრქვევის რაოდენობა იქნება:

$$\frac{33,33 \times 0,01}{100} = 0,0033 \text{ გ/წმ}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წისქვილების მუშაობის რეჟიმი მთლიანად წელიწადში შეადგენს 2400 სთ-ს, აქედან გამომდინარე წელიწადში გაფრქვეული მასა მტვრისა ატმოსფეროში ტოლი ნიქნება:

$$0,0033 \times 2400 \times \frac{3600}{10^6} = 0,028 \text{ ტ/წელ}$$

რაც შეეხება დანარჩენ ტექნოლოგიურ საფეხურებს, უცვლელი დარჩა როგორც წყაროების რაოდენობა, ისე ემისიების რაოდენობა:

- პროდუქციის ცემენტშიდებში გადატვირთვისას (№13 წყარო, გ -13);
- ნედლეულის მიღება-დასაწყობებისას ((№500 წყარო, გ-14);
- ნედლეულის შესანახი საწყობი ((№501 წყარო, გ -15);
- ჩაყრა კაზმის ბუნკერებში ((№502 წყარო, გ -16);
- ლენტური ტრანსპორტიორი ((№503 წყარო, გ-17);

5.2 ხმაურის გავრცელება

საწარმოს საქმიანობის პროცესში ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს ბურთულებიანი წისქვილი და ტექნიკის გადაადგილება ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების თეორიული გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- განისაზღვრა ხმაურის წყაროები და მათი მახასიათებლები;
- განისაზღვრა ხმაურის გავრცელების მიმართულება ხმაურის წყაროებიდან საანგარიშო წერტილებამდე. შესრულდა გარემოს ელემენტების აკუსტიკური გაანგარიშებები, რომლებიც გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე (ბუნებრივი ეკრანები, მწვანე ნარგაობა და ა.შ.);
- განისაზღვრა ხმაურის მოსალოდნელი დონე საანგარიშო წერტილებში და მოხდა მისი შედარება ხმაურის დასაშვებ დონესთან;

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გამომწვევი იქნება ბურთულებიანი წისქვილი და ტექნიკის გადაადგილება. 2010 წლის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, რეკომენდირებული იყო წისქვილის გარსაცმში განთავსება, შესაბამისად, საწარმოში განთავსებული წისქვილი მოქცეული გარსაცმში, რაც მისი ხმაურის დონეს ახშობს 90 დბ-მდე. 85-90 დბ-ს ფარგლებშია ასევე ავტოტრანსპორტის ხმაურის დონე. შესაბამისად, ხმაურის გავრცელების ჯამური დონე, საწარმოს ტერიტორიაზე შეადგენს 90,1 დბ-ს.

გაანგარიშებისას დაშვებულია ყველაზე პესიმისტური სცენარი, როცა ხმაურის ყველა წყარო იმუშავებს ერთდროულად.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები, გაიანგარიშება ფორმულით:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_{ar}}{1000} - 10 \lg \Omega, \quad (1)$$

სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

W – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $W = 4p$ -სივრცეში განთავსებისას; $W = 2p$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $W = p$ - ორ წიბოიან კუთხეში; $W = p/2$ – სამ წიბოიან კუთხეში; ba – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, H3ც.	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
β_a დბ/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

ხმაურის წარმოქმნის უბანზე ხმაურის წყაროების დონეების შეჯამება ხდება ფორმულით:

n

$$10\lg \sum_{i=1} 10_{0,1Lpi}(2)$$

სადაც: L_{pi} – არის i -ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

გათვლების შესასრულებლად გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

1) თუ ერთ უბანზე განლაგებულ რამდენიმე ხმაურის წყაროს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილისა, წყაროები გაერთიანებულია ერთ n ჯგუფში. მათი ჯამური ხმაურის დონე დათვლილია ფორმულით: $10\lg \sum 10_{0,1Lpi}$;

$i=1$

2) ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესაფასებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრიული ცენტრიდან დაშორება (მანძილის საცხოვრებელ სახლამდე შეადგენს 540 მ-ს);

3) სიმარტივისთვის გათვლები შესრულებულია ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა) და ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებულია მისი ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე: $\beta_{საშ}=10.5$ დბ/კმ;

მონაცემების მე-2 ფორმულაში ჩასმით მივიღებთ საწარმოო ტერიტორიაზე მოქმედი ხმაურის წყაროების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის მაქსიმალურ ჯამურ დონეს, ანუ ხმაურის დონეს გენერაციის ადგილას:

$$10\lg \sum_{i=1} 10_{0,1Lpi} = 10\lg (10_{0,1x90} + 10_{0,1x60} + 10_{0,1x70}) = 90,048 \text{ დბა.}$$

საწარმოს საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი გვხდება, ხმაურის წარმოქმნის წყაროდან გვხვდება დაახლოებით 80 მ მანძილის დაშორებით. საანგარიშო წერტილში ხმაურის დონის გაანგარიშება ხდება პირველი ფორმულის გამოყენებით:

$$L = L_p - 15\lg r + 10\lg \Phi - 10\lg \Omega = -15\lg 80 + 10\lg 2 - 10.5 \cdot 80/1000 - 10 \cdot \lg 2\pi = 47 \text{ დბა.}$$

ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან გაანგარიშებით მიღებული მნიშვნელობა იქნება 47 დბა, მიღებული შედეგი მცირედით არ აჭარბებს საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს.

5.3 ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, საწარმო განთავსებულია სამრეწველო ზონაში და ფუნქციონირებს 2010 წლიდან. საწარმოს ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან.

5.4 ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს საქმიანობის პროცესში, ადგილი ექნება მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. უშუალოდ ცემენტის წარმოების პროცესი საწარმოო ნარჩენების წარმოქმნასთან არ არის დაკავშირებული.

წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენებიდან აღსანიშნავია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული გრუნტი. საწარმოს ექპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და მართვა განხორციელდება სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

5.5 ზემოქმედება წყლის გარემოზე

საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 85 მეტრში გაედინება წყლის არხი. არხსა და საწარმოს შორის განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობისგზა და სხვა ნაკვეთები. საწარმოს, აღნიშნულ არხზე არც პირდაპირი და არც ირიბი ზემოქმედება არ ექნება.

ზოგადად უნდა აღინიშნოს რომ ცემენტის საწარმოს განთავსების ადგილისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საქმიანობა წყლის გარემოზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უშუალოდ ცემენტის წარმოების ეტაპზე წყლის გამოყენებას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგებას, საწარმოს წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის წყალსადენის სისტემით და სამეურნე-საყოფაცხოვრებო წყალარინება ასევე ხორციელდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელის საშუალებით.

რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, სანიაღვრე წყლების პოტენციური დაბინძურების წყაროა შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული გრუნტი. დაღვრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდება დაღვრილი ტერიტორიის გასუფთავება, რაც გამორიცხავს სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკებს.

5.6 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

მიმდინარე საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობისა, საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბების გათვალისწინებით, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.7 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე

საწარმოს ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. საწარმოში ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს 2010 წლიდან.

5.8 ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე

საწარმო წარმოადგენს არსებულ საწარმოს და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკები არ არსებობს.

5.9 კუმულაციური ზემოქმედება

საწარმოდან ჩრდილოეთით, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 22 მეტრში მდებარეობა შპს „გეო ინვესტის“ თამბაქოს და ალკოჰოლური ნაწარმის საწყოები, ამავე მიმართულებით, დაახლოებით 35 მ მანძილზე (საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან) მდებარეობს კარ-ფანჯრების დამამზადებელი და საწყოები (კოწიწაშვილი და კომპანია) . საწარმოს არმოსავლეთით ესაზღვრება შპს „ელ დი ეს“-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, რომელზე წარმოდგენილია უფუნქციოდ არსებული ძველი შენობა, ხოლო შემდეგ, ამავე მიმართულებით საავტომობილო გზა.

საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების სახეებში განიხილება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელება.

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: არაორგანული მტვერი და ცემენტის მტვერი. 2010 წლის გზმ-ის ანგარიშის და შეთანხმებული ზღვ ნორმების მიხედვით, საწარმოდან გავრცელებული მტვერის კონცენტრაცია 100 მეტრში ნორმის ფარგლებშია. საწარმოდან 100 მ რადიუსში არ არის განთავსებული ანალოგიური ტიპის ან სხვა საწარმო რომელიც ხასიათდება არაორგანული მტვერის ემისიებით და საწარმოდან 100 მ რადიუსში გარემოზე მოახდენს ჯამურ ეფექტს, რაც გამოიწვევს ნორმის დარღვევას. რაც შეეხება 100 მეტრიდან 500 მ რადიუსის დიამეტრში არსებულ საწარმოებს, ამ პერიმეტრზე, საწარმოს ემისიების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება.

ხმაურთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 80 მ რადიუსში, ყველაზე ხმაურის წარმოქმნის თვალსაზრისით, ყველაზე მარალი ხმაური განსახილველი საწარმოს ტერიტორიაზე გენერირდება. ვინაიდან ხმაურის ჯამი არ არის არითმეტიკული სისდიდე, ის ლოგარითმული სიდიდეა და უფრო დაბალი დონის ხმაურის ჯამური ეფექტი მაღალი დონის ჯამურ ეფექტთან დაახლოებით 0,1 დბ-ით იზრდება. შესაბამისად, უახლოეს რეცეპტორთან, 5.2 თავში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, ჯამური ხმაურის დონე, დღის საათებში (საწარმოს მუშაობის პერიოდი) იქნება 47.1 დბ., რაც ნორმის ფარგლებშია.

6 დანართი 1 - საჯარო რეესტრის ამონაწერი



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 02.05.07.737**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022964462 - 22/12/2022 11:26:08

მომზადების თარიღი
22/12/2022 12:12:41

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიბი:საკუთრება
რუსთავი	მარცხენა სანაპირო			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსტგებული ფართობი: 3766.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 02.05.07.717; 02.05.07.570;
02	05	07	737	შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 196.2 კვ.მ, N3 საერთო ფართობით 27.2 კვ.მ N3 საერთო ფართობით 95.58 კვ.მ N4 საერთო ფართობით 16.86 N5, N6, N7 N8 საერთო ფართობით 227.6 კვ.მ

მისამართი: ქალაქი რუსთავი , ქუჩა წერეთელი , და ,
მშენებელთა ქუჩის , მიმდებარე ტერიტორია ; ქალაქი
რუსთავი , ქუჩა წერეთელი , N 41ა

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013231666 , თარიღი 23/05/2013 10:40:01
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/05/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის ბრძანებამშენობა-ნაგებობების ლეგალიზების შესახებ N409 , დამოწმების თარიღი: 12/03/2010 , თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია
- ბრძანება N434 , დამოწმების თარიღი: 23/03/2017 , ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N130498906 , დამოწმების თარიღი: 22/05/2013 , ნოტარიუსი თეიმურაზ ეჯოშვილი
- თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის ბრძანებამშენობა-ნაგებობების ლეგალიზების შესახებ N409 , დამოწმების თარიღი: 12/03/2010 , თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია
- ნასყიდობის ხელშეკრულება N1-4881 , დამოწმების თარიღი: 02/12/2005 , ნოტარიუსი მ. რეხვიამშვილი
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N1-4882 , დამოწმების თარიღი: 02/12/2005 , ნოტარიუსი მ. რეხვიამშვილი
- ნასყიდობის ხელშეკრულება N1-230 , დამოწმების თარიღი: 29/01/2001 , ნოტარიუსი ე.ყალიბეგაშვილი

მესაკუთრები:

ილია ვარამაშვილი, P/N: 35001017981

მესაკუთრე:

ილია ვარამაშვილი

აღწერა:

იპოთეკა

<p>1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018004729 თარიღი 04/01/2018 15:37:20</p> <p>უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/01/2018</p> <p>2) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022964462 თარიღი 22/12/2022 11:26:08</p> <p>უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/12/2022</p> <p>სატელეფონით გირავნობა:</p> <p>რეგისტრირებული არ არის</p>	<p>იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595; მესაკუთრე: ილია ვარაშაშვილიP/N: 35001017981;</p> <p>საგანი: მიწის ნაკვეთი ღამუსტეხული ფართობით: 3766.00 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 196.2 კვ.მ, N3 საერთო ფართობით 27.2 კვ.მ, N3 საერთო ფართობით 95.58 კვ.მ, N4 საერთო ფართობით 16.86 N5, N6, N7, N8 საერთო ფართობით 227.6 კვ.მ;</p> <p>იპოთეკის ხელშეკრულება N1231232056384, ღამოწმების თარიღი 04/01/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო</p> <p>იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;</p> <p>საგანი: ღამუსტეხული ფართობი: 3766.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 196.2 კვ.მ, N3 საერთო ფართობით 27.2 კვ.მ N3 საერთო ფართობით 95.58 კვ.მ N4 საერთო ფართობით 16.86 N5, N6, N7 N8 საერთო ფართობით 227.6 კვ.მ ;</p> <p>იპოთეკის ხელშეკრულება N1231232998652, ღამოწმების თარიღი 22/12/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო</p>
---	---

სარგებლობა

<p>განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014384020 თარიღი 21/07/2014 15:52:03</p> <p>უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/08/2014</p>	<p>მეიჯარე: ილია ვარაშაშვილი P/N: 35001017981; მოიჯარე: შპს "VIVACEMENT" 416306045;</p> <p>საგანი: ფართი 3560 კვ.მ და შენობა-ნაგებობები; საბოლოო თარიღი: 31/12/2015;</p> <p>იჯარის ხელშეკრულება, რეგისტრის ნომერი N140801978, ღამოწმების თარიღი 31/07/2014, ნოტარიუსი მ. რეხვიაშვილი</p>
---	--

ვალდებულება

<p>ყალბა/აკრძალვა:</p> <p>რეგისტრირებული არ არის</p> <p>მოვალეობა რეგისტრი:</p> <p>რეგისტრირებული არ არის</p>

“ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეზერვო მიღებისას სამემონსავლო გადასახადი გადასახადს ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესასრულად აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს ავტომატურად საგადასახადო ორგანოს აღნიშნული ვალდებულების შექსრულებლას წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXVIII თავის მისუფებით.”

- დოკუმენტის ნაბეჭდილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგრაფიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტომატიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეჭიკური სარეგისტრაციო აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მსოიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეცემათ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



მიწის (უმრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 02.05.07.716**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023116454 - 13/02/2023 14:37:50

მომზადების თარიღი
20/03/2023 17:48:02

საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიბი:საკუთრება
რუსთავი	პარცხენა სანაპირო			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსტგებული ფართობი: 2226.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 02.05.07.124;
02	05	07	716	
მისამართი: ქალაქი რუსთავი, ქუჩა წერეთელი, და, მშენებელთა ქუჩის, მიმდებარე ტერიტორია				უფლ. დამ. დოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:შენობა ნაგებობა N1 საერთო ფართობი: 265,02 კვ.მ მათ შორის I სართული 200, 34 კვ.მ სარდაფი: 64,68 კვ.მ. შენობა N2 საერთო ფართობი: 246,24 კვ.მ მათ შორის I სართული: 124,16 კვ.მ II სართული: 122,08 კვ.მ. შენობა N3 საერთო ფართობი: 268,92 კვ.მ. შენობა N4 საერთო ფართობი: 130, 90 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015324080 , თარიღი 11/06/2015 15:22:26
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/06/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/06/2015 , საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:
ილია ვარაშაშვილი,P/N: 35001017981

მესაკუთრე:
ილია ვარაშაშვილი

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018004700 თარიღი 04/01/2018 15:32:13
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/01/2018
 იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;
 შესაკუთრე: ილია ვარაზაშვილიP/N: 35001017981;
 საგანი:მიწის ნაკვეთი ღამუსტეხული ფართობით: 2226.00 კვ.მ; უფლ. ღამ. ლოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა ნაგებობა N1 საერთო ფართით: 265,02 კვ.მ მათ შორის I სართული 200, 34 კვ.მ სარდაფი: 64,68 კვ.მ . შენობა N2 საერთო ფართით: 246,24 კვ.მ მათ შორის I სართული: 124,16 კვ.მ II სართული: 122,08 კვ.მ. შენობა N3 საერთო ფართით: 268,92 კვ.მ. შენობა N4 საერთო ფართით: 130, 90 კვ.მ;
 იპოთეკის ხელშეკრულება N1231232056420, ღამოწმების თარიღი04/01/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

2) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022964478 თარიღი 22/12/2022 11:29:00
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/12/2022
 იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;
 შესაკუთრე: ილია ვარაზაშვილიP/N: 35001017981;
 საგანი:ღამუსტეხული ფართობით: 2226.00 კვ.მ. უფლ. ღამ. ლოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა ნაგებობა N1 საერთო ფართით: 265,02 კვ.მ მათ შორის I სართული 200, 34 კვ.მ სარდაფი: 64,68 კვ.მ . შენობა N2 საერთო ფართით: 246,24 კვ.მ მათ შორის I სართული: 124,16 კვ.მ II სართული: 122,08 კვ.მ. შენობა N3 საერთო ფართით: 268,92 კვ.მ. შენობა N4 საერთო ფართით: 130, 90 კვ.მ ;
 იპოთეკის ხელშეკრულება N1231232998660, ღამოწმების თარიღი22/12/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

საგადასახადო გირავნობა:
 რეგისტრირებული არ არის

ვალიტებულება

ყალბა/აკრძალვა:
 რეგისტრირებული არ არის
 მოვალეთა რეგისტრაცია:
 რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადასახადი ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს აღნიშნული ვალიტებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXVIII თავის მისივედით."

- ღაკუმენცის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგრაფიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სასახლეში და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გვენიკური სარეგისტრაციო აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსებით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სასახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მსრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვცერით ელ ფოსტით: info@napr.gov.ge

7 დანართი 2 - უწყვეტი მონიტორინგის სისტემა

PFM 20 | ინფორმაცია პროდუქტზე

მტვრის მონიტორინგის ხელსაწყო



უწყვეტი, ტრიბოელექტრული გაზომვები მილიდან გაფრქვეული აირების რაოდენობრივი მონიტორინგისათვის

PFM 20 სერტიფიცირებულია TUV-ის მიერ ჰაერის ნაკადში მტვრის ნაწილაკების მონიტორინგისათვის და შესაძლოს გამოყენებული იქნას როგორც მტვრის მონიტორი ფილტრის მუშაობის მონიტორინგისათვის ისეთ საწარმოებში რომლებიც საჭიროებენ წებართვას/შეთანხმებას შემდეგი რეგულაციების მიხედვით: (13th BImSchV, 17th BImSchV, 30th BImSchV, 44th BImSchV, TA Luft), ასევე ისეთ საწარმოებში დამონტაჟებისას რომლებიც შესაბამეა რეგულაციას: 27th BImSchV. ხელსაწყო შესაბამისობაშია EN 15859:2010 რეგულაციასთან. PFM 20 აფიქსირებს მტვრის კონცენტრაციის უმცირეს მატებასაც კი, მაგალითად, სახელოიანი ფილტრის დაზიანების დროს. აპარატი გამოდგება მკაცრ ინდუსტრიულ პირობებშიც. გაზომვის დიაპაზონები შესაძლოა სეივალოს მოთხოვნის მიხედვით.

- ყველაზე დაბალი გაზომვის სერტიფიცირებული დიაპაზონია 0 – 7.5 მგ/მ3, მაქსიმალური გაზომვის დიაპაზონია 0 – 250 მგ/მ3 (მოთხოვნის შემთხვევაში 0 – 1000მგ/მ3)
- ავტომატური ნულის და შედარების წერტილის შემოწმების ფუნქცია
- კომპაქტური, შესაბამისი მასალით დაფარული სენსორი
- მილის ზომაზე მორგებული სენსორის სიგრძე და დენის სიმძლავრის სხვადასხვა ვარიანტები
- Modbus RS 485, ანალოგური და ციფრული სიგნალის შესაძლებლობა

აპარატის გამოყენების მაგალითი




PFM 20 | ინფორმაცია პროდუქტზე


ხელსაწყოს გამოყენების პირობები

- გარემოს ტემპერატურა: -20...+50 °C
- ჰაერის ნაკადის სიჩქარე. მინიმუმ 3 მ/წ
- ნამის წერტილის გაფანტულობა: მინიმუმ. +5 K

აპარატის დაყენების სქემა



აპარატის ზომები



ტექნიკური მონაცემები	
გაზომვის ნაწილი ყუთი:	კომპაქტური აპარატი ალუმინის ყუთით; დაცვის დონე IP 65
სენსორი:	ტრინიოლექტრული სენსორი რომელიც დაფარულია დამცავი ფენით და ელექტრულად განცალკევებულია აპარატის შეფასების ნაწილის ზუდისგან, სენსორის სიგრძე 300/500 mm;
გაზომილებები და წონა:	130 mm x 170 mm x 530/730 mm (w x h x d); 2.1 კგ (300 mm)/2.25 კგ (500 mm)
საოპერაციო პირობები:	
აირის ტემპერატურა:	მაქს. 280 °C
ფარდობითი ტენიანობა:	განსაკუთრებული სენსიტიურობა არ ახასიათებს ტენიანობის მიმართ
გაზომვის დიაპაზონი:	ნედლი სიგნალი: 0...250 mV (დაახლოებით. 0...250 მგ/მ³)
საოპერაციო ხელმისაწვდომობა:	დაახლ. 1 წუთი ელექტროენერჯის ქსელში ჩართვიდან
კალიბრაცია:	ზღვრული ნორმის განსაზღვრა შესაძლებელია გრავიმეტრიული გაზომვების გზით
ანალოგური სიგნალი:	1 x ანალოგური სიგნალი 4...20 mA ნედლი სიგნალისთვის [mV], გალვანურად დამიწებული, მაქსიმალური წინაღობა. 500 Ω
ციფრული სიგნალები:	4 x აპარატის მწყობრიდან გამოსვლის სიგნალი, მოვლის რეჟიმის სიგნალი, ზღვრული ნორმა 1 და ზღვრული ნორმა 2, 24 V, 100 mA
ინტერფეისები:	<ul style="list-style-type: none"> • PC ინტერფეისი (USB, პარამეტრების დაყენებისთვის) • მოდბასი VDI 4201 დირექტივის მიხედვით • მოდბასი საოპერაციო რეჟიმის დროს
სენსორის დამაგრების მეთოდი:	შესაბამისი შტუცერი და სამაგრი
კაბელის დაცვა:	<ul style="list-style-type: none"> • 1 x M16 x 1.5; • 2 x M12 x 1.5
კვების წყარო:	<ul style="list-style-type: none"> • 110...240 V AC, 50...60 Hz, მცველები: 1 AT, 10 W; min. 1.2AT • 24 V DC (მოთხოვნის შემთხვევაში), 10 W; მცველი: min. 500 mA
მონიტორი (მოთხოვნის შემთხვევაში):	<ul style="list-style-type: none"> • მონიტორი და საოპერაციო ბლოკი (DUx 20)
<i>მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია სპეციალური მოდელების დამზადება.</i>	